



# ბორჯომი

7 ივლისი  
ხუთშაბათი  
2022 წელი  
№27 (9237)

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

ფასი 40 თეთრი

## ვიზიტად თურქეთის რესპუბლიკაში



ბაკურიანის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლები ოფიციალური ვიზიტით თურქეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ერზურუმში იმყოფებოდნენ.

შეხვედრის ფარგლებში ბაკურიანსა და ერზურუმს შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის შექმნა და შედგა შეხვედრებში სხვადასხვა სფეროს ხელშეწყობა.

სააგენტოს წარმომადგენლები ადგილზე შეხვედრის ქალაქ ერზურუმის უძველესი სათხილამურო კლუბის პრეზიდენტს, ატაკან ალაფთარგისს, რომელმაც სააგენტოს წევრებს კურორტის სპორტულ პოტენციალზე ესაუბრა

და ქალაქის ზამთრის სპორტის განვითარების გეგმა გააცნო, რის ფარგლებშიც მხარეებმა ისაუბრეს სპორტული სახეების მრავალფეროვნების შესახებ და შეიმუშავეს მათი განვითარების ერთობლივი გეგმა, მათ შორის განიხილეს სამომავლო გეგმები სპორტსმენებისათვის გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით;

შეხვედრის ქალაქ ერზურუმის ტრანსპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, რომელმაც სააგენტოს წევრებს ტრანსპორტის მართვის სისტემა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობის სტილი გააცნო;

ცენტრალური საავადმყოფოს გენერალურ დირექტორთან, ისაუბრეს ერზურუმის ჯანდაცვის სფეროს მუშაობის სპეციფიკის შესახებ და დაგეგმეს ჯანდაცვის მიმართულებით სამომავლო თანამშრომლობის ნაბიჯები ბაკურიანსა და ერზურუმის ზამთრის კურორტებს შორის;

ოფიციალური ვიზიტი წარმოადგენს პალანდოკენსა და ბაკურიანს შორის თანამშრომლობის პირველ ნაბიჯს, რაც მომავალში ზემოთ აღნიშნული სფეროების გაძლიერებას ისახავს მიზნად.

ბაკურიანის განვითარების სააგენტო მადლობას უხდის საქართველოს საელჩოს თურქეთის რესპუბლიკაში ამ შესაძლებლობისთვის.

ბაკურიანის განვითარების სააგენტო

## დანისხვნა

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერს ახალი მოადგილე ჰყავს. ამ თანამდებობაზე გიორგი ბაბაძე დაინიშნა.

დაიბადა 1990 წლის 19 ნოემბერს, სწავლობდა ქვიშხეთის საშუალო სკოლაში. დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი. მიიღო ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირების განხრით, ასევე მას დამთავრებული აქვს ბულალტურთა და აუდიტორთა ინსტიტუტი.



2013-2014 წლებში სტაჟირება გაიარა ს.ს. „საქართველოს რკინიგზის“ სატვირთო გადაზიდვების ფილიალის ფინანსურ დეპარტამენტში ბიუჯეტურიების, სარეგისტრაციო და შემოსავლების აღრიცხვის პოზიციაზე, იყო ბულალტრის დამამარ ავიაკომპანია „არ-კავკასუსის“ ფინანსურ დეპარტამენტში. ის 2014 წელს მუშაობდა ს.ს. თბილელსანოში ბულალტრის დამამარის პოზიციაზე. სოლო 2020-2021 წელს იყო ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მონიტორინგის და სამშენებლო სამუშაოებზე ზედამხედველობის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი.

სი სპეციალისტი. 2021 წლის მაისიდან 2022 წლის ივნისამდე ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის, მონიტორინგის და ზედამხედველობის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. 2015-2020 წლებში მუშაობდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში ბულალტრული აღრიცხვის უფროსი სპეციალისტად. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

## მსოფლიო სასალონი დამცველის წარმომადგენლობით



ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე იოსებ რაზმაძე და თვითმართველობის წარმომადგენლები სახალხო დამცველის წარმომადგენლებს შეხვედნენ.

გაცნობით-საინფორმაციო შეხვედრაზე განხილული იქნება სახალხო დამცველის მანდატი თვითმართველობებთან ურთიერთობის კუთხით, რეგიონული ოფისის საქმიანობა, მუნიციპალიტეტების მიხედვით არსებული პროგრამები და სერვისები, ზოგადი მდგომარეობა

## ბამბრთა პრეზენტაცია

სამცხე-ჯავახეთის მედიაციონტრის დირექტორმა - მარინა კუბატაძემ ბორჯომში ქალების, ახალგაზრდების და მალალმითან ზონაში მცხოვრები ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლების საჭიროებათა კვლევის შედეგების პრეზენტაცია გამართა.

შეხვედრას ბორჯომის მერი - ოთარ არბოლიშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე - დავით ზაალიშვილი დაესწრნენ.

მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად შეხვედრას ეს-



წებოდნენ ბორჯომის ახალგაზრდული საკრებულოს თავმჯდომარე, მოადგილეები და წევრები.

## დაჯილდოვდნენ ტრენინგ-ცენტრის მონაწილეები



1 ივლისს, ბორჯომის ხელოვნების ცენტრში „ბორჯომი - მომავლის გულშემატივარი“ დაჯილდოვების ცერემონია გაიმართა. უკვე მრავალწელს ითვლის ტრენინგ-ცენტრის საგანმანათლებლო აქტივობა და ასეული ბავშვების სკოლის შემდეგ არაფორმალური განათლების ბაზა სწორედ, რომ აქაა. აქ ისინი კომპლექსურად სწავლობენ სხვადასხვა საგნებს, მიმართულებებს, რელიგიის ისტორიას, ხელსაქმეს, ხელოვნებას. მთელი წლის მანძილზე უკვე სასწავლო წლის წარმატებით დასრულება აღნიშნეს.

ტრენინგ-ცენტრის დირექტორმა, ქალბატონმა ქეთევან ნიჟარაძემ აღნიშნა თავის მისასალმებელ სიტყვაში, რომ გარემო პირობებში, უკრაინაში ომის მთავრად დაბრუნდნის გარეგანი ფაქტორების გამო, ბავშვების განათლების პრობლემაა. მან ხაზგასმით აღნიშნა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის პირველი პირების თანადგომა და რომ არასდროს არ ახსოვთ მსგავსი მხარდაჭერა სხვა დროს. მადლობა გადაუხადა მონაწილე სტუდენტებს: ბატონ ოთარ არბოლიშვილს, დავით ზაალიშვილს, იოსებ რაზმაძეს - ვინც გვერდით დაუდგნენ ყველა ინიციატივაში.

## აპიზუკინეზუს გზა დაულოცეს

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი ოთარ არბოლიშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე დავით ზაალიშვილი იმ აბიტურიენტებს შეხვედნენ, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად ახალციხეში გაემგზავრნენ.

მუნიციპალიტეტის მერმა აბიტურიენტებს ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპზე გადასვლა მიულოცა და წარმატებები უსურვა:

— თითოეულ თქვენგანს წარმატება მინდა გისურვოთ. თქვენს ცხოვრებაში ყველაზე საინტერესო, მაგრამ ამავე დროს რთული და პასუხისმგებლობით აღსავსე პერიოდი იწყება, როცა უნდა დაეუფლოთ მომავალ პროფესიას, გახდეთ ნამდვილი პროფესიონალებ-

## მატეზული მომავალი, - განაცხადა ბორჯომის მერმა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ზაალიშვილიმა ბორჯომელ აბიტურიენტებს მიმართა.

— ძვირფასო აბიტურიენტებო, დღეიდან ერთიანი ეროვნული გამოცდები იწყება. წინ ემოციურად დატვირთული დღეები გელოდებოთ. მთელი გულით გისურვებთ გამოცდების წარმატებით ჩაბარებას და სასურველ უნივერსიტეტში მოხვედრას. იმედი მაქვს ყველა გამოცდას წარმატებით ჩააბარებთ და თქვენს ცხოვრებაში ძალიან საინტერესო და აქტიური პერიოდი - სტუდენტობა დაიწყება. მერს მუხნეთ,



ბი და გამოადგეთ, როგორც მშობლიურ ქალაქს, ასევე ჩვენს ქვეყანას. ჩვენი, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის სურვილია, კავშირი არ განწყვიტოთ მშობლიურ ქალაქთან, დაგეხმარებით სტაჟირება გაიაროთ მუნიციპალიტეტის მერიაში, გთავაზობთ თანამშრომლობას მნიშვნელოვანი საქმიანობების განხორციელებაში, რადგან თქვენ ხართ თაობა, რომელზეც დგას ქვეყნის წარ-

განათლება საკუთარ მომავალში ჩადებული საუკეთესო ინვესტიციაა, ცოდნის მიღების გზაზე კი ბორჯომის მუნიციპალიტეტი თქვენს გვერდით იქნება.

შეგახსენებთ, რომ ბორჯომელ აბიტურიენტებსა და მათ გულშემატივარებს საგამოცდო დღეებში საგამოცდო ცენტრის მიმართულებით უფასო ტრანსპორტი ემსახურებათ.



კახაბერ მამიაძე

არდავინეცა მოყვრისა...

დღევანდელი ახალდაბლები გამაყობთ იმით, რომ შუა საუკუნეებში ახალდაბადებულ ქალაქს ყოფილა აქ, მაღალ მთაზე მდგარა ციხე - „შუველი მტრისაგან“.

XVIII საუკუნის შუა ხანებში ქართლის მეფე თეიმურაზ მეორისაგან დევნილი ცნობილი მამულიშვილი, გივი ამილახვარი, ახალდაბის ციხეში გამაგრებულა.

დაახლოებით ამავე საუკუნეებში ხალხის სამსახურში ყოფილა მდ. მტკვარზე გადებული ქვის თაღოვანი ხიდი, რომელიც ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე I-ის დროსაც (XVIII საუკუნის მიწურულამდე) მოქმედებდა.

ახალდაბაში არსებულია სუთი ეკლესია-მონასტერი (რაოდენობა ქალაქის სიდიდებზე მეტყველებს), რომელიც ნანგრევები დღემდეა მოღწეული. ხალხში გავრცელებული თქმულების თანახმად, ქალაქს გარს ერტყა ცხრა სოფელი, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მოსახლეობის მომარაგებას სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, ომიანობის დროს კი აქტიურად მონაწილეობდნენ ქალაქის დაცვაში.

აქ ქართველებთან ერთად ცხოვრობულან ებრაელებიც. ნერლოებითი წყაროებით დგინდება, რომ ახალდაბა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ერეკლე I-ის მეუღლის, დარეჯან დედოფლის, სახასი ქალაქი ყოფილა. აქ ხდებოდა ბაუის აკრეფვა ხეობიდან ქართლში და პირიქით, ქართლიდან მესხეთ-ჯავახეთში მიმავალი ვაჭრებისა თუ კერძო პირების გავლის დროს.

გადიოდა დრო, გარეშე თუ შინაურ მტერთა ძარცვაგლეჯვა აუტანელი ხდებოდა. ერთ დროს შექმნილი სიბრძნის მოსახლეობის თითქმის აბსოლუტურმა უმრავლესობამ თავი შეაქალა მტერს ან განურდა აქაურობას და თავი შეაფარა იმერეთსა თუ ქართლს, მათ შორის იყო ახალდაბელი მოსახლეობაც.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ (გნებუთ ანექია უწოდეთ მას) ქართველმა მოსახლეობამ ამოისუნთქა მუსლიმანური ქვეყნების შევიწროებისაგან.

ხეობაში თანდათანობით გაჩნდა მოსახლეობა, ხეობის მსხვილი დასახლება დაიწყო 1864 წლიდან, საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ. ხელახლა მოშენდა ახალდაბაც.

ახალდაბას შუაზე ჩამოუდის მდ. მტკვარი, რომელიც ორ ნაწილად ჰყოფს დასახლებას. მარჯვენა დასახლებას ხალხი დიდ ახალდაბას უწოდებდა, ხოლო მარცხენას კი პატარა ახალდაბას. პატარა ახალდაბაზე მიმდებელი იყო სოფელ სავანისხევა. დიდ ახალდაბაში იყო სოფლის საბჭო, საშუალო სკოლა, სასერსი ქარხანა, საყოფაცხოვრებო მომსახურების

სახელოსნოები, ბაზარი და სხვა... იმ დროისათვის ქვის ხიდი გამოსული იყო მწყობრიდან. გაღმა-გამოღმა დასახლებები ერთმანეთთან კავშირს ამყარებდნენ ერთადერთი ბოროთი ონაწრობის (წყალდიდობის) დროს ხშირად პრობლემები ექმნებოდა მოსახლეობას. ასე გრძელდებოდა ათეული წლებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალდაბელი ახალგაზრდები იმ დროშიც და შემდგომ პერიოდშიც გამოირჩეოდნენ სწავლისადმი სწრაფვით, შესაბამისად ხშირად ისინი აღმოჩნდებოდნენ ხოლმე რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების თანამდებობებზე, მაგრამ არაფის აზრად არ მოსვლია ორად გაყოფილი სოფლის ხიდით დაკავშირებაზე ზრუნვა.

და აი, გამოჩნდა კაცი, რომელმაც თავი დაადგა ხალხის დიდი ხნის ოცნებას. ეს კაცი იყო ახალდაბის წილიდან გამოსული ვლადიმერ (ლადო) ქველაძე. იგი 1941-53 წლებში მუშაობდა პარტიის კასპის რაიკომის პირველი მდივნის თანამდებობაზე.

მან დიდი ძალისხმევით, რესპუბლიკის ხელმძღვანელ მუშაკებთან შეთანხმებით, ზოგიერთი ბიუროკრატიული ოპერატიული გვერდის ავლით, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ახალდაბის ხიდის მშენებლობისათვის გამოგზავნა საკმარისი რაოდენობის ფონდის ახალი ბაგირები და ვაგონით უმაღლესი ხარისხის ცემენტი. ეს ის დრო იყო, როდესაც სულ უმნიშვნელო სახელმწიფო ქონების

არამიზნობრივად ხარჯვისათვის დამნაშავეს „კომბორ“ უკან რჩებოდა, ბოროტ ხალხს მაშინ რა გამოიღვედა და ბატონ ლადოსაც მოკითხეს... მის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან როგორც თავისი სოფლის პატრონობა, ვაჭვაცურად გააბათილა წაყენებული ბრალდებები და ახალდაბელებს დიდი ხნის ოცნება აუსრულა. 1950 წელს ხიდი გაიხსნა, ხიდი გათვალისწინებული იყო იმ დროინდელი ყველა სახეობისა და ტერიტორიის ტრანსპორტისათვის. ხიდის მდგრადობა გათვალისწინებული იყო 10 ტონა სიმძიმის ტვირთის გატარებისათვის.

გავიდა ხანი, გაიზარდა ახალი ავტომობილების ტვირთამწეობა, ტრაილერებს უკვე 20-25 ტონა ტვირთი გაჰქონდათ ხიდზე. ხის განძებზე დაგებული ფიციანი ვეღარ უძლებდა გაიორმაგებული ტვირთის გამტარუნარიანობას და ხიდი დროის ხანმოკლე მონაკვეთში მწყობრიდან გამოვიდა. დამტყრეულ-დაზიანებული ხის მასალა იცვლებოდა ახლით, რაც მოითხოვდა ზედმეტ ხარჯებსა და ხიდის გარკვეული დროით უმოქმედობას. ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში,

ვიდრე რაიონის ხელმძღვანელობის სათავეში ბატონი ზაზა ჯოსხაძე არ აღმოჩნდა. იგი წარმოშობით ახალდაბიდანაა, მან მშობლიური სოფლის გასაჭირი გულთან ახლოს მიიტანა და ყოველგვარი კანონიერების დაცვით, შემდგომი ორგანოების დახმარებით, შეძლო ძველი დაბალი ტვირთამტარუნარიანობის ხიდი შეეცვალა რკინა-ბეტონის ხიდით.

2003 წლიდან მოყოლებული ხიდზე გამვლელ-გამომვლელი მადლიერებით მოიხსენიებენ ამ საქმის ინიციატორს და შემოქმედს, ეს კაცი კი ბატონი ზაზა ჯოსხაძეა.

არანაკლები დამსახურება მიუძღვის მშობლიური კუთხისადმი ან განსვენებულ ბატონ ზაზა ბლიაძეს, რომელმაც ფოთოლეთის ეკლესია ააშენა და სასსოფოდ დაუტოვა ახალდაბელებს.

ახალდაბიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 5 კმ-ის დაშორებით, მთის შუა წელში ეწ. ფოთოლეთის მადამოებში, შედარებით ვაკე ადგილზე არსებობდა IX საუკუნის, გროგოლი ხანძთელის მონაწილის მიერ აგებული „წმინდა გიორგის“ სახელობის მონასტერი. საშუალო ზომის მონასტერი მთლიანად იყო ჩაქვული. ბ-მა ზაზამ წერლობითი მიმართა ბორჯომ-ბაკურთაის ეპარქიის მმართველს, მიტროპოლიტ სერაფიმეს, რათა მას ეკლესიის აღდგენის კურთხევა (წება) მიეცა მისთვის. ბატონმა ზაზამ საკუთარი ხარჯებით საცალღებო ბილიკის ადგილას გაჭრა სამანქანო გზა სამშენებლო მასალების მისაღებად (ტყის ძირიდან ეკლესიამდე დაახლოებით 2-2,5 გრძივი კმ-ია). მან საკუთარი ხარჯებით მოახდინა აგრეთვე ძველი ეკლესიის მთლიანად დაშლა და მის ადგილზე იგივე ზომისა და ფორმის ეკლესიის აღდგენა. მანვე ეკლესიაში მოღვაწე ბერუსაში მოღვაწე ბერე...

ბისათვის ეკლესიის სახელოვან ააშენა ორსართულიანი საცხოვრებელი კვლია, გამოიყვანა სასმელი წყალი და სხვა...

თუ გული გულგოსს გასაჯებლებს რა გამოიღვეს. გაზეთ „ბორჯომში“ ვიუნყე-ბოდით, „მთანმინდის“ შესახებ, რომელიც მდებარეობს ახალდაბაში. ყოველი წლის მთაწმინდის დღესასწაულზე სხვა სოფელ-ქალაქში მცხოვრები ადამიანები მოდიან და პატივს მიაგებენ ამ სალოცავს. ჩვენი კი რა გახდა, ერთი ფირნიმიც ვერ დავედით ქართულ-უცხოური წარწერით: „ახალდაბის მთაწმინდის წმ. გიორგის ეკლესია“ შესაბამისი თარიღითა და შესაბამისი ნიშნით.

ჩვენი მოკრძალებული აზრით, მოზარდი თაობის დასაინტერესებლად და სასახლისებლად, საჭიროდ მიგვაჩნია, ახალდაბის ხელმძღვანელობამ მოსახლეობასთან შეთანხმებით, სკვერის ან რომელიმე ქუჩის მიანქიფს ვლადიმერ ქველაძის სახელი, სამანქანო ხილს კი ზაზა ჯოსხაძის სახელი, რაც შეეხება ზაზა ბლიაძეს, მან სიცოცხლეშივე უკვდავყო თავისი სახელი.

ქალი რომაელები მუშუების თანამშრომელი.



ლადო ქველაძე



ზაზა ბლიაძე



ზაზა ჯოსხაძე

სათავადასავლო გარიში ცენტრისცი უმცირესი უნდა დატრეს

კვადროტურიზმი მთიანი კურორტებისთვის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ტურისტულ სერვისად ითვლება. ბორჯომსა და ბაკურიანში კვადროტურიზმი შემოსავლის ერთ-ერთ და ზოგიერთისთვის ერთადერთ შემოსავლის წყაროდაც კი იქცა. ზამთრის სეზონზე ბაკურიანში, ხოლო ზაფხულში ბორჯომში აღნიშნული მიმართულებით მომუშავე მანქანების რაოდენობა დღითიდღე იზრდება. სულ რამდენიმე წლის წინ ცენტრალური ისტორიული პარკის ტერიტორიაზე თუ შენიშნავდით კვადროციკლებს, რომლებიც მსურველებს საინტერესო ადგილების მონახულებას სთავაზობდნენ მუნიციპალიტეტის მასშტაბით. თუმცა, ამ ბოლო პერიოდში ზემოთ აღნიშნული მანქანების რაოდენობა კოსტავას სახელობის ბაღის მიმდებარე, კოსტავასა და რუსთაველის სახელობის მოედნებზეც მრავლად შეინიშნება. ზოგიერთ ადამიანს რამდენიმე მანქანა ყავს საკუთარებაში და აქირავებს, რომლებსაც სხვები ამუშავენ და შემოსული თანხიდან ქირას მეპატრონეს უხდიან. აღნიშნული მანქანებით მომსახურების ღირებულება კი სასურველი მარშრუტის მანძილისა და ადგილის სირთულიდან გამომდინარეობს.

გიორგი მახარაშვილა ეწ. „ბაგი“, რომელიც ამერიკული წარმოების მანქანაა, გაზაფხულზე შეიძინა და თვითონ ამუშავეს. გიორგი მიყვება, მისთვის უფრო მომგებიანია, რომ მანქანა მისი საკუთრებაა. ამბობს, რომ თვითონ უფლის საკუთარი მანქანას და სხვაზე არაა დამოკიდებული, მომსახურების ფასსაც თვითონვე ადგენს და შეღავათსაც თვითონვე აკეთებს საჭიროების შემთხვევაში. ძირითადად კვადრობზე მოთხოვნა არაბა, რუსი, ამერიკელი, ჩეხი და ყაზახი ტურისტებისაგანაა. გიორგი ამბობს, რომ ტარიფები დადგენილი არაა, თუმცა თავდაპირველად დიდ ტარას დაახლოებით 400 ლარზე ზემოთაც კი აფასებდნენ. მაგალითად, დაბაძველში, კახისის ტბაზე ასასვლელად, თუმცა, რაკილა ამ ეტაპზე უკვე აღნიშნულ მარშრუტზე მომუშავე მანქანების რაოდენობამ იმატა, როდესაც მსურველი მოდის, ერთი საათის მომსახურების საფასური დაახლოებით 200 ლარიდანაც იწყება, ან უმეტეს შემთხვევაში თვითონ მანქანის მეპატრონე ადგენს ტარიფს. გიორგი ახლომდებარე



ლის ტურის მსურველებს შეუძლიათ მოინახულონ წმინდა გიორგისა და ლეთისმშობლის სახელობის ეკლესიები. გიორგი მიყვება, რომ ტურისტებთან მუშაობა საკმაოდ დიდ სირთულეს და თავისებურ სპეციფიკას მოითხოვს, რადგანაც მსურველები სრულიად განსხვავებული არიან. ემსახურება როგორც მოზრდილებს, ასევე ბავშვებს, ორსულებს, რომელიც არავითარ არ წავა დიდ მარშრუტზე, ამიტომაც თავაზობს ახლომდებარე და ამავედროულად საინტერესო მარშრუტს, რაც ორსული ქალბატონისთვის დამლულე არ იქნება. ძირითადად ტურისტები კმაყოფილები არიან, მითუმეტეს, მაშინ, როდესაც შეთავაზებულ მარშრუტში პირველად უნვეთ წასვლა. უმრავლესობა ვერ მალავს აღფრთოვანებას, როდესაც ნანახი ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. აღნიშნულ სამუშაოს სირთულეც ახლავს. ჰქონია შემთხვევა, როდესაც ბორჯომში შესანიშნავი ამინდიდან გამომდინარე ტურისტები დაბაძველს მოსანახულელად წაიყვანა, თუმცა დაბაძველში ასულტებს თოვლი დახვდათ და დანიშნულ ადგილამდე მისვლა ვეღარ მოახერხეს. აქედან გამომდინარე, მხოლოდ სანავის ფული გადაუხადეს. თუმცა, მსგავსი შემთხვევები ხშირი არაა. როგორც ყველა სამ-

უშაოს, აღნიშნულ სამუშაოსაც თან ახლავს კურორტები. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გოგირდის ბანაობისაკენ, მდინარე ბორჯომულაზე უნვეთ გადასვლა, მანქანა მდინარეში პირდაპირ შედის. ეს ყოველივე კი იწვევს ტურისტების გაოცებას, განსაკუთრებით ქალებისათვის, აღარ იციან, რა გააკეთონ ამ დროს. ზოგი ყვირის, ზოგი იციან.

გიორგი იხსენებს ერთ ამბავს, როდესაც ამერიკელი ყავდა დაბაძველში, სადაც ძვირადღირებული ტელეფონი და საბუთები დაკარგეს. ეს ყოველივე კი ბორჯომში დაბრუნების შემდეგ აღმოაჩინეს. გიორგი უკან დაბრუნდა, საბედნიეროდ იპოვა დაკარგული ნივთები და ტურისტებს დაუბრუნა. გულისხმიერი გიორგი მადლიერების ნიშნად 50 ევროს დასახიუნქრეს. დღესაც ამ ამბავს უემოციოდ ვერ იხსენებს. ამბობს, რომ ძალიან ბედნიერი იყო, როდესაც ადამიანებს მათთვის მოულოდნელად დაკარგული ნივთები დაუბრუნა. მიუხედავად იმისა, რომ სულ ცოტა ხნის წინ დაიწყო აღნიშნული მიმართულებით მუშაობა, ცდილობს, ყველაფერი ზედმინეცხით შეისწავლოს. მიაჩნია, რომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა ტურისტები კმაყოფილი დარჩეს. ამბობს, რომ ერთადერთი რამ, რამაც ადამიანები ერთმანეთს შეიძლება გავეჯიბროთ, სკვერის კეთებაა. რამდენჯერ ქონია შემთხვევა, როდესაც ადამიანები უფასოდაც კი წაუყვანია მიუხედავად იმისა, რომ კვადროტურიზმის მიმართულებით უკვე ძალიან ბევრი ადამიანი მუშაობს ჩვენ ქალაქში და ის არც ისე მომგებიან ბიზნესად ითვლება, ამბობს, რომ საზღვარგარეთ წასვლაზე და საკუთარი ქვეყნისაგან და ოჯახისაგან შორს ყოფნას ურჩევია, რომ ისევე აქ, თავის რაიონში იმუშაოს. თვლის, რომ თუ ყველა აქედან წასვლაზე იფიქრებს, აქ ვილა დარჩება? ამიტომაც შრომით ნაშრომი მცირედი ურჩევია ქვეყნისაგან შორს მყოფ ნაშრომ ბევრ ფულს. წარმატებები გიორგის. ვუსურვებთ ბევრ მადლიერ ტურისტსა და ნაყოფიერ სეზონს.

მათაზადა ნაბო მალიჩიძე

# ფესტივალის ლაურეატები

**გოკალური** სტუდია „ონავრები“, ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებულ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში 2015 წელს ჩამოყალიბდა. მისი ხელმძღვანელი გახლავთ პედაგოგი, ქალბატონი **თამარ კუჭაძე**.



შვიდი წლის მანძილზე სტიდიის მოსწავლეებს უამრავ კონკურსსა თუ ფესტივალში აქვს მონაწილეობა მიღებული. არიან სხვადასხვა კონკურსისა თუ ფესტივალის ლაურეატები. რამდენიმე თვის წინ ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში, „საქართველო-ტრადიცია და თანამედროვეობა“ შემეცნებით-საგანმანათლებლო სემინარ-კონცერტი ჩატარდა, რომლის მიზანი იყო ქართული ეთნოკულტურული ტრადიციების უკეთ გაცნობა და მათი განსაკუთრებული მნიშვნელობის წარმოდგენა თანამედროვე გამოწვევების ქრისტში. სემინარ-კონცერტს, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ბატონი **გია ბალაშვილი** უძღვებოდა. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ბორჯომის მუნიციპალიტეტში მოქმედმა ანსამბლებმა. მათ შორის გახლდათ სტუდია „ონავრებიც“. სტუდიის წევრებმა ბატონ გიას საკუთარი შემოქმედება გააცნეს.

17 ივნისს კი, სტუდია „ონავრების“ წევრებს, პედაგოგ თამარ კუჭაძესთან ერთად კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ეროვნულმა ხელნაწერთა ცენტრმა უმასპინძლა. პროექტის - შემეცნებით-საგანმანათლებლო სემინარ-კონცერტში „ონავრებმა“ მონაწილეობა მიიღეს და სეტიცხოველი. ესტუმრნენ ეროვნული საგანმანათლებლო ცენტრის, სადაც ქალბატონმა ნესტან ბაგაურამ ბავშვები სახალისო აქტივობებით ეროვნულ სიძველეებს აზარა. პროექტის ავტორი გახლავთ ქართული ხელოვნების ცენტრი ისრაელიში და მისი დამფუძნებელი ქალბატონი მარინა გელაშვილი. ბავშვების ტრანსპორტირება დააფინ-

ანსა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიამ და საკრებულომ. ხოლო, კვერისა და ოპერატორის ხარჯები სამშობლოს მონატრებულმა ემიგრანტებმა ისრაელიდან უზრუნველყვეს.

19 ივნისს სტუდია „ონავრების“ წევრებმა თბილისში, „არტ-პოლი“ ფოლკლორულ ფესტივალში „ეროვნული საგანძური“ მიიღეს მონაწილეობა, სადაც ლაურეატის ნოდება დაიმსახურეს. ფესტივალზე 7-9 და 10-12 წლის ასაკის ჯგუფი იღებდა მონაწილეობას. მონაწილეობა სულ შვიდი სიმღერა წარმოადგინეს. რეპერტუარი მრავალფეროვანი გახლდათ. შესრულდა ხალხური სიმღერა „მუხა წონილებს“, „ციცი-ნათელა“, „ქალაქური“. შესრულდა მაკა აროშიძის, მაია ოთიაშვილის, გაიკანჭილის სიმღერები. პატარა მონაწილეებისათვის აღნიშნული ფესტივალური დებიუტი გახლდათ, თუმცა მათ შესანიშნავად გაართვეს თავი დაკვირვებულ მოვალეობას და ლაურეატის ნოდებაც მიიღეს. აღნიშნული ნოდება სტუდიის არსებობის მანძილზე რიგით მეექვსე გახლავთ.

**თამარ კუჭაძე, სტუდია „ონავრების“ ხელმძღვანელი:** - გულითად მადლობას ვუხდით კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ხელმძღვანელს, ბატონ **გაიონ დვალაშვილს**, რომლისგანაც უდიდეს მხარდაჭერას ვგრძობთ. იანვარში გადმოგვცა აპარატურა, რაც რეპერტორისთვის ნამდვილად დიდ აუცილებლობას წარმოადგენდა. ფესტივალზე გასამგზავებელი ტრანსპორტის ხარჯებიც სწორედ ბატონმა გაიონმა დაფარა. უდიდესი მადლობა ქართული ხელოვნების ცენტრის დამფუძნებელს, ქალბატონ მარინა გელაშვილსა და ბორჯომის საკრებულოს გვერდში დგომისა და მხარდაჭერისათვის. მადლობას მოვუხდებოდა პირადად ჩემი, როგორც სტუდიის ხელმძღვანელისა და მშობლების სახელით.

**მომზადდა ნატო ფელიქსი**

# დავით არჩვაძის უთავაქმლოება

**მომღერალი დავით არჩვაძე** გემოვნებიან ქართულ საესტრადო სიმღერებს ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში წინა წლებში **დავით არჩვაძის** და **ბიჭვინტაძის** იგი ერთი ხელით კვირაში 2-ჯერ ბორჯომს დაეძაქა და სტუმრობს და მოსწავლეებს მუსიკალურ სტუდიაში ხვდება. მომღერალი ჩვენი მუნიციპალიტეტის უმშვენიერესი ახალდაბის **მაცხოვრებელიც** გახდა და **სწორად** ნების ნაძვარით ტკბება.

**რატომ აირჩიეთ ახალდაბა სააგარაკოდ და რით გამოირჩევიან?**  
- ბოლო წლების მანძილზე ჩემი ცოლ-შვილით ზამთარ-ზაფხულ ვისვენებდი ბორჯომში და დიდი შემართებით და სიყვარულით დავინყე მათთან მუშაობა. ყველაზე სასიხარულო ამ ყველაფერში, ის არის, რომ თითოეული მათგანი ქართულ სიმღერაზე შეყვარებული და ვცდილობ, რომ შევასწავლო მათ გემოვნებიან ქართული საესტრადო სიმღერები. პირველ რიგში ფოლკლორით და ქართულ გალობასთან ერთად, დახვეწილი მათი შესრულების მანერა.



რესურსებით, სამკურნალო წყაროებითა და წყლებით, პაერთა და უამრავი სხვა ღირსშესანიშნაობით.

**რეგიონში სტუმრობამ, რა შეცვალა თქვენს ცხოვრებაში?**  
- მივხვდი, რომ ასამაგად საჭირო იყო ჩემი სტუდიური საქმიანობით რეგიონში ჩამოსვლა. ჩემი სფეროს მხრე აღმოვაჩინე ძალიან თანამედროვე და განვითარებული მომავალი თაობა ვისთვისაც არაფერს არ ვიშურებ, რომ გადავცე მის რაც დღემდე თავად მივიღე ცხოვრების საკმაოდ რთულ და საინტერესო შემოქმედებით განვლილ გზაზე.

**მიზანობით, ბორჯომთან თქვენი დამოკიდებულებისა და ემოციების შესახებ?**  
- როგორც ყველა ქართველს, მეც ასევე გამაყვანა ჩემი ქვეყნის ეს საოცარი კუთხე, თავისი ჯადოსნური ბუნებრივი

**რამდენიმე სიტყვით შეგიფასეთ ბორჯომი, როგორც კულტურულ-საზოგადოებრივი თვალსაზრისით?**  
- ბორჯომის კულტურული ცხოვრება ყოველთვის გამოირჩეოდა. პირადად მე ძალიან ხშირად მქონდა ღონისძიებები თქვენს ქალაქში. ძალიან მიხარია, რომ ბოლო წლებში უცვლელად ვიყავი ხოლმე დიდი სახალწლო ღონისძიებების ერთ-ერთი მთავარი მონაწილე და მოწვეული სტუმარი ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ. ახლაც ვაგრძელებ, რა თქმა უნდა, მათთან თანამშრომლობას და უამრავი კარგი გეგმა მექვს გასასრულებელი ამ ქალაქის კულტურული ღონისძიებების თვალსაზრისით.

# ბაჩო ნანაშვილი მონაწილე

ჩვენი საყვარელი და სანატრელი ბაჩო, 17 წელი გავიდა იმ ავბედითი დღიდან, რაც ბედისწერამ გამოგვაცალა ხელიდან შენი სიცოცხლე. თვლის დახამაშებდასავით გაფრინდა ჩვენთვის ეს წლები. ნამდვილად არ ყოფილა დრო ჩვენი უსაზღვრო ტყვილის მკურნალო. სკოლა და უნივერსიტეტი წარმატებით დაამთავრე, მაგრამ დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება ვერ მოახარო, სწორედ მაშინ გიმტყუნა ბედისწერამ. 22 წლის ვაჟკაცს უკურნებელი სენი მოგერია და ვერ შეძელით შენი გადარჩენა, თუმცა ცდა არ დაგვიკლია.

შეტრუნავლობის დღესასწაულს შენი დაბადების დღეს აღვნიშნავთ. გილოცავთ ჩვენი ვაკაცო 39 წლის შესრულებას. შენს საფლავზე დაეფორქვით ცრემლებს, მოგიტანო ყვავილებს, დაგანთებ წმინდა სანთლებს და უფალს შევთხოვთ ზეციურ სასუფეველში დაგიმკვიდროს სამუდამო საცხოვრისო.

ჩვენი ბაჩო, შენ ფიზიკურად არ ხარ ჩვენთან, მაგრამ სიცოცხლე გრძელდება, ვისთვის ტკბილად, ვისთვის მწარედ. დედას თვალეზზე ცრემლი არ უშრება, ყოველდღე სევდით გიხსენებთ. მართლაც საკვირველია, როგორ ვძლებთ უშენოდ. ალბათ, ღმერთი გვაძლვინებს.

გვემასხვრები სამუდამოდ - ლალი, ოცნებით სავსე, იმედიანი... ნათელში გამოყოფოს უფალმა.



**მომზადდა ნატო ფელიქსი**

# შრიდონ ელიზბარაშვილის განსვენება

მარად 15 წლის სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე ფრიდონ, უშენოდ მოვიდა 6 ივლისს, შენი დაბადების დღე. 24 წელია მას შემდეგ, რაც დაუნდობელი სიკვდილია წაგვართვა შენი თავი და ჩვენი გულები ცრემლითა და მწუხარებით აავსო. ცხოვრებაში თურმე ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც შენ გინდა. ვერც ვერაფერი მოგიწოვს მომავალს ისე, რომ მხოლოდ ბედნიერი ნაბიჯებით იარო. არ წაიბოროტო და რაც მთავარია, ცრემლი, ცრემლი არ ღვარო იმ დიდი ტკივილისა, ოჯახის წევრის დაკარგვა რომ აქვია.

შეუბრალებელი და სასტიკია სიკვდილი, დაუნდაბლად ჩაგვიკლა გულში ბავშვური ოცნება და ნასათუთევი სიყვარული. ჩვენი უსაყვარლესო 15 წლის ენერგიით და სიცოცხლით სავსე ფრიდონ იმ ავადმასხვრებულ ტრაგედიას რომ არ მოესწრაფა შენი ბავშვობის ყველაზე ბედნიერი წლები, ჩვენც ბედნიერები ვიქნებოდით. შენზე დარდს შენ აწუხებდი, ახლა მამაშენის გარდაცვალებაც დაემატა. ფრიდონ, შენ ალბათ, ბედნიერად გრძნობ თავს, რომ 24 წლის უნახავი მამა 10 თვეა შენ გვერდით იმყოფება. აბა, შენ იცი, როგორ მოუფლი, არაფერზე აწყვინო. ისლა დაგვრჩენია, შენი ლამაზი სულისთვის ვილოცოთ და ღმერთს შევავედროთ შენი უმანკო სული.

დაე, ჩვენმა მონატრებამ გაუნათოს გზა სასუფეველში ნაადრევად გაფრენილ შენს სპეტაკ სულს.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59  
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.  
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.  
ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვალერიან ლომიძე  
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. ქ. თბილისი, თვედორე მღვდლის ქ. №57.  
borjomi@inbox.ru

# შალვაკი

## ბორჯომი ასახელს

მეორე წელია, კასპელებმა ტრადიციად დაამკვიდრეს ადგილობრივი მოჭადრაკისა და მეცენატის შიდა ჯაბაჯურის სახელობის საქადრაკო ტურნირის ჩატარება, რომელშიც საასპარეზოდ იწვევენ არა მარტო შიდა ქართლის მუნიციპალიტეტის, არამედ მოსაზღვრე მუნიციპალიტეტების მოჭადრაკეებსაც.

ამჯერად მინწულეები იყვნენ ბორჯომის ვეტერანი 30 წლის ზემოთ ასაკის) მოჭადრაკეებიც. სულ შეჯიბრებაში მონაწილეობდა 6 გუნდი: კასპის (ორი), ბორჯომის, ზაშურის, გორის და დუშეთის გუნდები. გუნდი განისაზღვრა სამი კატორეაში შემადგენლობით. თითოეულ კატორეაში მოჭადრაკეს ეძლეოდა 15 წუთი. შეჯიბრება ჩატარდა შვეიცარიული სისტემით.

# იხა იანაყაშვილი

ბორჯომის ღირსებას იცავდნენ: **ზაზა გულაოვი (ბექაური), ლევან ზედელაშვილი (ახალდაბიანი)** და **უშანგი ჯანგირაშვილი**.

**დაძაბულ ბრძოლაში ბორჯომელთა გუნდი მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა, პირველი იყო კასპის პირველი გუნდი. გუნდს ყველაზე მეტი ქულა შეესძინა ზაზა გულაოვმა (ბექაური). საპრიზო ადგილებზე გასულელებს გადაეცაათ თასი, სიგელი და მედალები.**

სამწუხაროდ, შეჯიბრებაში ვერ მიიღო მონაწილეობა რაიონის ჩემპიონმა ქადრაკემა წალკარელმა თამაზ ჩიკვაძემ. ჩვენი ჩემპიონი გუნდში რომ ყოფილიყო, შესაძლოა აქაც ჩემპიონობისათვის ებრძოდა.

კარგი იქნება, თუ ბორჯომშიც ჩატარდება ჩვენი ამქვეყნიდან წასული მოჭადრაკეების, ვთქვათ, გივი ელიოსიძის და ირაკლი მალარაძის სსოფენსადმი მიძღვნილი ტურნირები!

**შპს არაბიზსაირკაი.**

# ამირან იანაყაშვილის გამოსათხოვარი დიდი გულიტკივილით ვეშვილოვებით

ჩვენი წინაპრები ამ საწუთროს (ანუ ჩვენს ცხოვრება-არსებობას მზისქვეშეთში) იმიტომ უწოდებდნენ მუსთაქის, რომ მრავალ სიმწარეს მოგვიფლეს და მოგვასწრებს ამ ცხოვრებაში, ხშირად მოულოდნელად. ასეთი სიმწარე და თავზარდამცემი ამბავი ჩვენთვის არის ის, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა წალკერში მცხოვრები **ამირან იანაყაშვილი**. ვინც მას იცნობდა, დაგვერწმუნება, რომ იგი იყო ვაჟკაცობის, კაცურ კაცობის ეტალონი, უპეტილოდ მოიხსენიებოდა ამდენი, უპრეტენზიო, თავმდაბალი. მეგობრობაში და მეზობლობაში უღალატო, სხვისთვის უანგაროდ დადამხარე. ვინ იფიქრებდა მის სიკვდილს, რადგან ფიზიკურად იყო ჯანმრთელი, კარგი სპორტსმენი და განთქმული მონადირე. ჯარში სამსახური რუსეთში მოიხდა და იყო ქალაქების მისკოვის და ტულის ჩემპიონი კრივში, საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი ახალგაზრდებში, ჯერ თბილისში, შემდეგ წალკერში ფიზკულტურის მასწავლებლად დიდხანს მუშაობდა.

ამირანი თავისი მესხური წარმოშობით ამყოფდა. კარგად იცოდა საქართველოს ისტორია, შენატროდა ძველ დროში სამშობლოსათვის თავგანწირულ გმირებს. ძველად რომ ეცხოვრა, აუცილებლად მესხთა რაზმში იბრძოლებდა, რომელიც ქართველთა ჯარში ბრძოლის ველზე ყოველთვის ავანგარდად მხარდობდა გამწესებული ქართველ მეფეებს. ამირანი იყო ხელოვანი, ხელოსანი და გამორჩეული დიზაინერი. იყო საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი. რამდენჯერმე მოაწყო თავისი ფერწერული ტილოების გამოფენა თბილისში და წალკერში. თავისი ნამუშევრებს უანგაროდ ჩუქნიდა ყველას.

ნამდვილად დასანანი, მისი ლამაზი და შინაარსიანი სიცოცხლის 71 წელი დასრულდა. წყევლმა სიკვდილმა მისი რკინისგული ჯანმრთელობა მაინც გატეხა, მის გულს მოერიდა, რომელიც ლამაზი ოცნებებით, ოჯახის და მეგობრების სიყვარულით იყო სავსე. მეუღლესთან ქალბატონ დარეჯანთან, შვილებთან მიახსა და სათუნასთან და შვილიშვილებთან ერთად დაფარით და დიდი გულისტკივილით ვემშვიდობებით ჩვენს ძვირფას ამირანს.

ღმერთმა აცხონოს მისი სული  
მეგობრების სახელით **შაპგი ჯანგირაშვილი**



**შაპგი ჯანგირაშვილი**